**ქვეპროგრამის მიზანი:** ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

**პროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამის ფაარგლებში განხორციელდება ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

1.3.5 ბორჯომის გამწვანება 2012 ( 03 03 06)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, ბაღების, პარკების და გაზონების მოწესრიგება, ყვავილებით და მარადმწვანე დეკორატიული მცენარეებით შევსება და სასიამოვნო გარემოს შექმნა.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქში არსებული ბაღების, პარკებისა და სკვერების შევსება ყვავილებითა და მარადმწვანე, ფოთოლმცვენი სხვადასხვა დეკორატიული მცენარეებით. ჩატარდება მარადმწვანე ხე-მცენარეების მავნებელებისა და დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); მოხდება ხე-მცენარეების გასუფთავება ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, შემობარვა, მორწყვა,გასხვლა, ნაგვის შეგროვება და მათი გატანა. გაზონების დასუფთავება. ორგანული სასუქის შეტანა მრავალწლიანი ბუჩქების ძირებში,ასევე საყვავილე კლუმბებში, ასევე მოხდება მინერალური სასუქის შეტანა ყვავილნარებში, მრავალწლიან მცენარეთა ირგვლივ და ბალახის გაზონებში. მოხდება ტერიტორიების გათიბვა სეზონზე და გათიბული მასის გატანა.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (03 05)

**პროგრამის მიზანი:** სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**პროგრამის აღწერა**: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალიწინებული თანხა წარიმართება სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად.

1.5 ტრანსპორტის სუბსიდირება (03 06)

**პროგრამის მიზანი:** სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

**პროგრამის აღწერა:** სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება, მუნიციპალური სერვისის განვითარება, ტექნიკურად გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზურუნველყოფა მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტულად მომსახურებისათვის. სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება დროულად და უსაფრთხოდ, სპეცტექნიკით (ტრაქტორები) ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიოტორიაზე სხვადასხვა სამუშაოს შესრულება.

1.6 სატრანსპორტო საშუალებების შეძენა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა.

## 2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (05 00)

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას.. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

### 2.1 სპორტის სფეროს განვითარება (05 01)

**პროგრამის მიზანი:** ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია.

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება- პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მომზადება და მონაწილეობა ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები; სპორტის სხვადასხვა სახეობის სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია. სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა. პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთელი შეკრებების ჩატარებაზე და სპორტსმენთა მივლინებაზე საერთაშორისო ტურნირებზე; განხორციელდება ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია და ქალთა სპორტის განვითარება, ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება, სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა.

#### 2.1.1 ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა (05 01 01)

**ქვეპროგრამის მიზანი:** ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული სექციების და კლუბების მხარდაჭერას, რომლის მიზანია პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, მოზარდთა მაქსიმალური მოზიდვა და ჩართულობა სხვადახვა სპორტის სახეობებში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული სექციების და კლუბების განვითარებას.

#### 2.1.2 სპორტული ღონისძიებები (05 01 02)

ქვეპროგრამით 2019 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სადაც მონაწილებას იღებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები, რომლებიც (მინი ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, გეზრბენში, მაგიდის ჩოგბურთსა და მხიარულ სტარტებში) ეჯიბრებიან ერთმანეთს, გამარჯვებული კი რეგიონალურ და საქართველოს ჩემპიონატში იღებს მოაწილეობას.
- სპორტული ფესტივალი „სპორტი ბარიერების გარეშე", აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის 14-16 წლის გოგონები და ვაჟები რომლებიც ფეხბურთში, კროსში, კალათბურთსა და ჭადრაკში ეჯიბრებიან ერთმანეთს, გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ ტურნირში და მიემგზავრებიან საზაფხულო ბანაკში ანაკლიაში.
- მინი ფეხბურთის ტურნირი მოყვარულთა შორის ყოველწლიურად იმართება, სადაც მონაწილეობას

იღებენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის უბნები და სოფლის გუნდები, სადაც გამარჯვებულ გუნდებს სხვა პრიზებთან ერთად გადაეცემათ ფულადი პრიზიც.

- წარმოება-დაწესებულებების ტურნირი. აღნიშნული ტურნირი ყოველწლიურად ტარდება მინი ფეხბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში, სადაც მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წარმოება-დაწესებულებები.
- „მოყვარულთა თასი ფეხბურთში“ აღნიშნულ ღონისძიებას საქართველოს ფეხბურის ფედერაციასთან ერთად ახორციელებს საქართველოს მოყვარულთა ფეხბურთის ფედერაცია, სადაც ჩართულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის გუნდი.
- „ხსოვნის ტურნირი“.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება რეგიონალური და ბორჯომის სარაგბო კლუბების დაფინანსება.

2.1.3 ა(ა)იპ – **ბორჯომი ფეხბურთი 2013**

**ქვეპროგრამის მიზანი:** ბავშვთა ჩართულობა ბავშვთა ფეხბურთში.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერას, რომლის მიზანია ბავშვთა მაქსიმალური მოზიდვა და ჩართულობა.

**2.1.4 ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა (05 01 04)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების, გარე სავარჯიშო კომპლექსების და ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტრაცია.(ქ. ბორჯომში სანატორიუმ „მთის ხეობის“ მიმდებარედ, ნინოშვილის ქ. №1-ში. სოფ. დვირში. სოფ. ყვიბისში, ჩითახევში სოფ. რველი, სოფ. ანდეზიტში, სოფელ ჭობისხევში, სოფელ ქვაბისხევში ბეშეთში და სოფ. ტიმოთესუბანში განხორციელდება სპორტული მოედნების მოწყობა. ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე, მესხეთის №23,31-ის მიმდებარედ, მესხეთის ქუჩიდან რობაქიძის ქუჩაზე გასასასვლელ ხიდთან, ქ. ბორჯომში გორგასლის ქუჩაზე, სოფლებში: ტაბაწყური, ჭობისხევი, მზეთამზე და დაბა ბაკურიანში, დაბა წაღვერში მოეწყობა გარე სავარჯიშოები.

**2.2 კულტურის სფეროს განვითარება (05 02)**

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას. დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორიცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობას, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადებას და სხვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება კულტურის სფეროს დაწესებულებები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლები და სხვა.

**2.2.1 მუსიკალური სკოლის დაფინასება (05 02 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** მოსწავლეთათვის დაწყებითი მუსიკალური განათლების მიცემა, საფორტეპიანო, სიმებიანი, ვოკალური და ხალხური მიმართულებებით.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა კონტიგენტის მიღებას, სამუშაო გეგმების, გაკვეთილების ცხრილების შედგენას და განხილვას, სასწავლო წლის ხარისხიანად წარმართვას და მისთვის

აუცილებელი საკითხების ორგანიზებას. კრეატიული აზროვნების დანერგვა-მოწყობას, მოსწავლეთა მომზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური, ფოლკლორული და სხვადასხვა ჟანრის ფესტივალებსა და კონკურსებში. კულტურული ღონისძიებების ჩატარებას.

**2.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (05 02 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი**: საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა.

• საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;

• საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგების, ელექტრონული წიგნების, ჟურნალ–გაზეთების სტატიების) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

• საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

• მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

• კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;

• საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა, წიგნების პრეზენტაციების მოწყობა; შეხვედრები შემოქმედ ადამიანებთან, ინტელექტუალური თამაშის ,,რა? სად? როდის?“ მოწყობა მუნიციპალიტეტის სკოლების მასშტაბით; ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები ,,ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო–საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.სხვადასხვა სახის კონკურსების ჩატარება , თემატური საღამოების მოწყობა მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლითეკაში, მაღალმთიან სოფლებში(განსაკუთრებით ბალანთასა და ტაბაწყურში ) გასვლითი ღონისძიებების მოწყობა, მობილური ბიბლიოთეკის ამოქმედება; შშმ პირების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა; წიგნადი ფონდის ციფრული კატალოგიზაციისათვის პროგრამის შეძენა და კადრების გადამზადება; ინვენტარის განახლება; სამეურნეო და საკანცელარიო ნივთების შეძენა; ზამთრის სეზონისათვის მომზადება.

**2.2.3 ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (05 02 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა მიზნობრივ წრეებში, როგორიცაა: ტიხრული მინანქრის, ფერწერისა და გრაფიკის, ხელნაკეთი თოჯინების და ქსოვის, ხეზე კვეთის შემსწავლელი წრეები, დაინტერესება ქართული ფოლკლორით, როგორც მუსიკალური, ასევე ქორეოგრაფიული მიმართულებით. თეატრის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის, კიდევ უფრო საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული კურორტის სახით წარმოჩენა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში ბორჯომის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნაში მონაწილეობის მიღება. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-

წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა.

სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ჩატარება როგორც კ/ცენტრში, ასევე ცენტრს დაქვემდებარებულ სოფლის კლუბებში, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და წაღვერის კ/სახლებში.

1. სილამაზის კონკურსის „მის ბორჯომი 2019“ ორგანიზება-ღონისძიების ფარგლებში მოხდება ბორჯომსა და მის რაიონებში 20-25 გოგონას შერჩევა. რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში. ფინალში გასული გოგონები გამოვლენ საფინალო შოუში , რომელზეც მოხდება კონკურსის გამარჯვებულის და ორი საპრიზო ადგილის მფლობელის არჩევა და გამოცხადება ჟიურის მიერ. გამოცხადების შემდეგ შედგება გვირგვინის საზეიმო გადაცემის ცერემონიალი. კონკურსში მონაწილე გოგონები დასაჩუქრდებიან სამახსოვრო საჩუქრებით.

2. შემოქმედებითი საღამოს მოწყობა-ღონისძიების ფარგლებში იგეგმება გამოჩენილი მომღერლის შემოქმედებითი საღამოს ჩატარება,საღამოს გაამრავალფეროვნებს მოწვეული მომღერლების და შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლა .

3. მოწვეული თეატრების მიერ სპექტაკლების წარმოდგენა, მოხდება საქართველოში მოღვაწე თეატრების მოწვევა, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას და დაინტერესებულ საზოგადოებას წარმოუდგენენ ცნობილ ან ახალ სპექტაკლსებს.

4. საახალწლო ღონისძიებები – ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება საახალწლო გასართობი სპექტაკლი ცენტრთან არსებული თეატრალური სტუდიის მიერ. შეძენილ იქნება სხვადასხვა ტკბილეული საახალწლო საჩუქრებისთვის. ღონისძიება მოიცავს საქველმოქმედო მიზნებსაც. სპეციალურად შშმ ბავშვებისთვის ჩატარდება სპექტაკლი და გადაეცემათ საახალწლო ტკბილეულობა საჩუქრებად.

**2.2.4 ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები „(05 02 05)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების წარმოჩენა, შენარჩუნება, განვითარება და მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლება. ახალგაზრდების მხარდაჭერა, წახალისება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობა. ტურისტებისთვის ქალაქის წარმოჩენა. ტურიზმის პოპულარიზაცია.

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტში კულტურული განვითარების პროცესი მიმდინარეობს მოზარდი ახალგაზრდობისათვის და ზოგადად მთლიანი მოსახლეობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები:

1. ახალი წლის ღონისძიება ბორჯომსა და ბაკურიანში.
2. ბაკურიანობა 2019.
3. სიცილის ლიგა“ საქართველოს ჩემპიონატი.
4. ქალთა საერთაშორისო და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა.
5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა.
6. კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და სპორტის სფეროში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა.
7. „სიცილის ლიგა სასკოლო კლუბებს შორის.“
8. საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატი ,,ეტალონი“.
9. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა.
10. ბავშვთა დაცვის დღე და ტურისტული სეზონის გახსნა.
11. „თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი“.
12. რეგიონალური ფოლკლორური ფესტივალი „ფუძეობა“.
13. გიორგი ათონელის ხსენების დღე
14. „ბორჯომობა 2019“.
15. ქართულ-პოლონური ჯაზის ფესტივალი.
16. მასწავლებლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა.
17. საინფორმაციო-სარეკლამო მასალის ბეჭდვა.

18. სარეკლამო, საიმიჯო კლიპის გადაღება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების წარმოჩენა.
19. კულტურული დღეები ბორჯომში. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სატელევიზიო პროგრამა „ეტალონი“ და ასევე „ეტალონში“ გამარჯვებული ბავშვი ყოველთვიური სტიპენდიით. ღონისძიებების განსახორციელებლად ასაწყობი სცენის, განათების და გახმოვანების აპარატურის შეძენა.

**2.2.5 ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკების სარეაბილიტაციო სამუშაოები (05 02 06)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამუსიკო სკოლის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის და წაღვერის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია.

**2.2.6 ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია (05 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** ეპარქიის ხელშეწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**2.2.7 საინფორმაციო მომსახურება (05 03)**

**პროგრამის მიზანი** ინფორმირებული მოსახლეობა.

**პროგრმაის აღწერა:** მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების გამოქვეყნება.

**3. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება**

**პრიორიტეტის მიზანია**: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთი პროგრამების და ქვეპროგრამების განხორციელება, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯებს, მათ შორის: თანამდებობრივი სარგოს, ჯილდოს, დანამატს და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯბესება; 6. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

**4. განათლება**

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რაც მყარი საფუძველია აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შექმნილი სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში განვითარების მიმდინარეობის შესაფასებლად. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების

განვითარება, სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

**4.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (04 01)**

**პროგრამის მიზანი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისათვის მზაობა.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამებისა და მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა, ბავშვების სხვადასხვა სოფლებიდან ტრანსპორტირება. 2019 წელს დაიწყება დამატებით 1 ახალი ბაღის მშენებლობა.

**4.1.1 ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (04 01 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ბაღში რეგისტრირებულია 85 აღსაზრდელი, ხოლო 40 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით, რადგან ბაღს არ გააჩნია საკუთარი შენობა და დღეის მდგომარეობით იმყოფება ნაქირავებ შენობაში. კვება შეესაბამება არსებულ სტანდარტებს, მაგრამ განსახლებელია მენიუ. სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობისათვის სასურველია კადრების გადამზადება და შესაბამისი სააღმზრდელო პირობების შექმნა.

**4.1.2 ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ (04 01 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

მუნიციპალიტეტში სულ 1775 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 10 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 875 ბავშვის სწავლება, ხოლო დანარჩენი ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. შესწავლილი იქნა არსებულ ბაღებში სწავლების ხარისხი და დადგინდა რომ საბავშვო ბაღში რიცხული 650 ბავშვიდან მხოლოდ 20 პროცენტი ვერ აკმაყოფილებს განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ სტანდარტს, რაც ძირითადად აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაციით არის გამოწვეული. სტანდარტებს შეესაბამება კვების ხარისხი და მენიუები და ბაღების ინფრასტუქტურა და აღჭურვა. ჩვენი მიზანია საშუალოვადიან პერიოდში მოვახდინოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარება და სტანდარებში მოქცევა.

**4.1.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია (04 01 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

**ქვეპროგრამაის აღწერა:** დაბა წაღვერში საბავშვო ბაღის მიმდერბარედ კანალიზაციის ქსელის მოწყობა, სოფელ დვირში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, სოფ. ტაძრისის საბავშვო ბაღის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

**4.2 საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება (04 02)**

**პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და განათლების ხელმისაწვდომობა**

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კორტანეთის საჯარო სკოლის შემოღობვა და ეზოს კეთილმოწყობა, მე-6 საჯარო სკოლის შიდა სარემონტო სამუშაოები, სოფ. ტაძრისში და დაბა ახალდაბის

საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, განხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქალაქ ბორჯომის №1, №3, №6 და ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთი, რველის, ქვაბისხევის, ტაბაწყურის, დვირის და ჭობისხევის საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაცია, სოფელ ანდეზიტის და ბალანთის საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა, სოფელ მოლითის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა.

4.3 საგანმანათლებლო ცენტრის დაფინასება (04 03)

**პროგრამის მიზანი: მოსწავლეების აღზრდა და ჩამოყალიბება აქტიურ და განათლებულ მოქალაქეებად.**

**პროგრამის აღწერა**:მოსწავლეების ჩართულობა არაფორმალური განათლების აქტივობებში, რაც ხელს უწყობს გუნდური მუშაობის, პრეზენტაბელობის, კომუნიკაბელობის და სხვა უნარ-ჩვევევის ჩამოყალიბებას.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინასება, რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისებზე.

5.1. ჯანმრთელობის დაცვა (06 01)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით.

**პროგრამის აღწერა:** გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა ეროვნულ ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა,პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და „C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება და სხვა.

5.1.1 ჯანდაცვის ცენტრი (06 01 01)

**ქვეპროგრამის მიზანი:** სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდავცის ოპარატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა დკსჯც ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი

მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის,სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და “C” ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

**5.1.2 ამბულატორიული და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობა-რეაბილიტაცია ( 06 01 03 )**

**ქვეპროგრამის მიზანი:** დაბა ბაკურიანში მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ბაკურიანში სამედიცინო პერსონალის ბინით უზრუნველყოფა და კ. წაქაძის ქ. №2-ში სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა, სოფლებში ბალანთა-ჭიხარულა, ყვიბისში, ტბაზე და ციხისჯვარში ამბულატორიის მშენებლობა და სოფ. ქვაბისხევში ამბულატორიის რეაბილიტაცია.

**5.1.3 უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაცია (06 01 04)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, და უპატრონო ცხოველებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის დაცვა ადამიანისა და ცხოველებისათვის საფრთხის (აგრესიის ან/და საშიში დაავადებების) მატარებელი ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან, ჰუმანური წესით მათი დაჭერა და შესაბამის ადგილებში გადაყვანა, განთავსება, გაშვება ან მოკვდინება (ევთანაზია); ურბანულ გარემოში ბინადარი ცხოველების (სახეობების მიხედვით) პოპულაციების მართვა და კონტროლი, თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით, ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნა; ცხოველთა ტრანსპორტირება და მიღება-განთავსება შესაბამის მუნიციპალურ ან კერძო თავშესაფარში; ცხოველების გაჩუქება, მიკედლება ან/და დაინტერესებულ პირთათვის მათი დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში შემდგომში მათი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი; საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება-გამოყენება.

**5.2. სოციალური დაცვა (06 02)**

**პროგრამის მიზანი:** მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

**პროგრამის აღწერა:** სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის (მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები) სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა, შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობის მიზნით არასამეწარმეო იურიდიული პირების კომუნალური ხარჯების დაფინანსება;

სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგის სახის ქვეპროგრამები: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა, I და II ჯგუფის ინვალიდების, ასევე უკიდურესად დამძიმებული ჯანმრთელობის მქონე პირების ერთჯერადად დახმარების პროგრამა და სხვა. აღნიშნული პროგრამები განხორციელდება საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**5.2.1 მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება (06 02 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

**ქვეპროგრამის** აღწერა: აღნიშნული პროგრამით 100%-ით დაფინანსდებიან ის სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მოქმედი სარეიტინგო ქულა 0-დან

160 000-მდე . მაქსიმალური გასაცემი თანხა 5000 ლარი.

ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა 160 000-დან 200 000-მდეა, დაფინანსდებიან 100 % ით და მაქსიმალური გასაცემი თანხაა 3000 ლარი.

ის ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“, მაგრამ საჭიროებენ სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებას, დაფინანსდებიან 70%-ით. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2 000 ლარი.

სრული დაფინასება გაეწიოთ: „ც“ ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადით.აუტისტური სპექტრის და დაუნის სინდრომის მქონე პაციენტებს და მინდობით აღზრდაში მყოფ პირებს, ობლებზე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე, დიდი სამამულო ომის მონაწილეებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ინვალიდ ვეტერანებზე,ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგენის ლიკვიდაციების მონაწილეებს; მაქსიმალური გასაცემი თანხაა 3000 ათასი ლარი. 100 ლარამდე წარმოდგენიული ანგარიშფაქტურა დაფინანსდეს სრულად.

პროგრამის მოქმედება არ ვრცელდება: ქვეყნის ფარგლებს გარეთ მკურნალობაზე, ტრანსპლანტაციის ხარჯებზე, ესთეტიკურ, პლასტიკურ ქირურუგიაზე და კურორტულ მომსახურებაზე. ასევე არ დაფინანსდება არჩეული იმპლანტანტის, აყვანილი ექიმის და „ვიპ პალატის“ ღირებულება. ასევე, დაფინანსება არ განხორციელდება იმ სამედიცინო დაწესებულებათა მიმართებაში, თუ ისინი არ მონაწილეობენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში. ბენეფიციართა სტაციონარული დაფინანსება მოხდეს წელიწადში ერთჯერადად.

**5.2.2 უფასო სასადილოს დაფინანსება (06 02 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის უფასო საკვებით უზრუნველყოფა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ბორჯომის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილო ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ყოველდღიურად დღეში ერთჯერადი ცხელი საკვებით უზრუნველყოფას. უმწეოთა უფასო სასადილოთი ყოველდღიურად სარგებლობენ შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარები, მარტოხელა, ინვალიდი და ასაკით პენსიონრები, უმუშევრები და სოციალურად დაუცველი ოჯახები. სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთ ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 57 000 ქულის ჩათვლით. აგრეთვე შერჩევით დაკმაყოფილდება ის ბენეფიციარები რომელთ ქულა იწყება 57001-დან და არ აღემატება 150 000-ს ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანხმობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ბენეფიციართა ბინაზე ერთჯერადი სადილის გატანება ყოველდღიურად ოჯახის წევრზე ან ახლობელზე, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. მათ მიერ შემოტანილ პირადი განცხადების საფუძველზე. სასადილოს ბენეფიციარებს ყოველდღიურად ემსახურებათ მუნიციპალური ტრანსპორტი უფასოდ, რომლებიც სასადილოდან ცხოვრობენ მოცილებით.

**5.2.3 ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი (06 02 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** გარდაცვლილების ოჯახებისთვის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისთვის დახმარების გაწევა.

**ქვეპროგრმაის აღწერა:** ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე – 250 ლარი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე – 100 ლარი.

**5.2.4 მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება (06 02 05)**

**ქვეროგრმაის მიზანი:** დიდი სამამულო ომის მონაწილეების და შშმ ვეტერანების ღვაწლის დაფასება.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 9 მაისთან დაკავშირებით დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის და მათთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა – 300 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე 100 ლარის ოდენობით. 26 მაისთან დაკავშირებით დიდი სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი

ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას – 100 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე. დახმარების გაცემა განხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს ბორჯომის რაიონული განყოფილების მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე.

**5.2.5 ახალდაბადებული ბავშიანი ოჯახების დახმარება (06 02 06)**

**ქვეპროგრმის მიზანი:** მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** აღნიშნული დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლის ახალშობილი დაიბადა მიმდინარე წელს ან წინა წლის ბოლო 3 თვის განმავლობაში. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს 300-მდე ბენეფიციარი. 150 ლარს – პირველ ბავშვზე, 200 ლარს – მეორე ბავშვზე, 300 ლარს მესამე ბავშვზე, 1000 – ლარი მეოთხე და მომდევნო ბავშვების შეძენაზე, რაც გავლენას იქონიებს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

**5.2.6 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება (06 02 07)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** ობოლი ბავშვების მორალური და ფინანსური თანადგომა.

**ქვეპროგრმის აღწერა:** ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლ ბავშვთა კვებისა და განათლების მიღებისთვის ყოველთვიური დახმარება 250 ლარი თითოეულზე.

**5.2.7 ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება (06 02 10)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სოციალური და ფინანსური თანადგომა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამით გაიცემა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 100 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს ღვაწლმოსილი ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას.

**5.2.8 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (06 02 11)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახები მიიღებენ ყოველთვიურად 150 ლარს, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარს. ასევე 150 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთ-ერთი შვილი ჰყავთ შშმ პირი.

**5.2.9 სტიქიის და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება (06 02 12)**

**5.2.10 მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (06 02 13)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** მედიამენტოზური მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:** 1.1 ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული პროგრამით სტაციონარში წოლის შემდგომ დაფინანსდებიან 150 ლარით ის სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მოქმედი სარეიტინგო ქულა 0-160 000-მდე.

1.2 ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“, მაგრამ საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას სტაციონარში წოლის შემდგომ, დაფინანსდებიან 100 ლარით.

1.3 ონკოლოგიური ავადმყოფების (1 და 2 კლინიკური ჯგუფი) ქიმიოთერაპიისა და რადიოთერაპიის მკურნალობის ლიმიტი განისაზღვროს 2000 ლარით. წარმოდგენილი ფორმა №100 გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ონკოლოგიური დაწესებულების მიერ და მასში აღნიშნულ იქნეს ქიმიოთერაპიისთვის განსაზღვრული მედიკამენტების ჩამონათვალი ჩანაწერის ან რეცეპტის სახით. ხოლო რაიონის ონკოლოგის

მიერ შევსებული ფორმა №100-ის (ჩანაწერი მედიკამენტების ჩამონათვალით), რეცეპტის და აფთიაქიდან წარმოდგენილი კალკულაციის(დედანი) საფუძველზე გაეწიოს დახმარება 150 ლარის ოდენობით. (1, 2 და 4 კლ. ჯგუფებს)

1.4 დიალიზზე მყოფი მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა მოხდეს ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით.

